ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ს.ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" ტელ: 599-94-00-05

საფუძველი: 23.07.2013 წ. №12/1320421-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი-ვაკე, ნუცუბიძის ქ. №60

საკ.კოდი: №01.14.03.007.002

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 26.07.2011წ. №01/2003; 26.07.2011 წ. №6/2120-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

ფუნქციური დანიშნულება: ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია (სავარაუდოდ II კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (13.09.2013) დადგინდა:

დარღვევები:

±0.00 ნიშნულის ქვეშ დამატებით შექმნილია 3მ სიმაღლის 43 კვ.მ შიდა ფართი, „ბ-გ" მონაკვეთში მოწყობილი კარით, მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობლით, გარე კიბით, და „3-1" ფასადის მხარეს ორი ფრამუგით.

„3-1" მონაკვეთში მოწყობილია ფრამუგა, საჰაერო ღიობი, კონდიციონერები და წყალშემკრები მილები. შეცვლილია საწვავის მარიგებელი სვეტების გაბარიტები და მდებარეობები, ხოლო მათ ძირებზე საერთო ბაქნის ნაცვლად მოწყობილია ცალ-ცალკე ბაქნები. აღნიშნულ სვეტებთან მოწყობილია ლითონის დამცავი ჯებირები. არსებული კაპიტალური ღობის ნაწილი და „B-A" მონაკვეთში არსებული ფასების მაჩვენებელი დაფა არ შეესაბამება საპროექტოს. სახანძრო სტენდს მონაცვლებული აქვს ადგილი. არ არის მოწყობილი წყლის სამარაგო მიწისქვეშა ავზი.

„1-3" ფასადზე: შეცვლილია რელიეფის დონე. „1-2" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის გაბარიტი, ხოლო „2-3" მონაკვეთში ვიტრაჟის სიმაღლე გაზრდილია 0.4 მ-ით და შეცვლილია მათი ნახატი. გაზრდილია ფარდულის სიმაღლე 0.6 მ-ით, ხოლო ვინილის სიმაღლე 0.2 მ-ით. შეცვლილია ფარდულის ფორმა და მოპირკეთება. შეცვლილია ამავე ფარდულზე რენდერით გათვალისწინებული სარეკლამო სტენდის მდებარეობა.

ფასების მაჩვენებელი ცდება საკადასტრო საზღვრებს.


შეამოწმა: გ. ბაღაშვილი

478450

N

W E

S



4619550

4619550

შუთა ასათიანი	25.07.2013
მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №60	მასშტაბი: 1:200